ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ბ 011

ქ. თბილისი 27 თებერვალი, 2015 წელი

ერთის მხრივ, შპს "მათემოტორსი", წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ გელავას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ სსიპ "ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მარიამ დავითაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვთანხმდებით გამარტივებული შესყიდვის პირობებს და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "მიმწოდებელი" საკუთარი სერვისის ფარგლებში გაუწევს "შემსყიდველს" ავტომანქანის ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრის, წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლის ტექნიკურ მომსახურებას ჰიუნდაის მარკის ავტომანქანაზე, (CPV კოდი: 50100000) (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტები"), რომლის მახასიათებლები არის შემდეგი: მარკა/მოდელი – Hyundai Tucson, გამოშვების წელი – 2009, ფერი – შავი, საიდენტიფიკაციო (შასის) № – KMHJN81BP9U055410, სახელმწიფო სანომრე ნიშანი – NNG117);

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 "შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს "მიმწოდებელს" საქონლის და მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.2.1 გადასცეს "შემსყიდველს" უფლებრივად და საგნობრივად უნაკლო საქონელი;

2.2.2 გადასცეს "შემსყიდველის" ინვოისი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 317-00 (სამასჩვიდმეტი) ლარს (25.02.2015 წლის №42და №43 ინვოისის შესაბამისად);

3.2 გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, რაც უნდა განხორციელდეს სამუშაოს (მომსახურების) შესრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3 სამუშაო (მომსახურება) ჩაითვლება შესრულებულად შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემდეგ;

4.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან (27 თებერვალი, 2015 წელი) და მოქმედებს 2015 წლის 6 აპრილის ჩათვლით;

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ურთიერთობის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ახალი ხელშეკრულების საფუძველზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

6.2. მხარეები ვალდებულები არიან დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს აღნიშნული გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "მომწოდებელს", ხოლო მეორე "შემსყიდველს".

<u>მიმწოდებელი</u> შპს "მათემოტორსი"	<u>შემსყიდველი</u> სსიპ "ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი"
<u>იურიდიული მისამართი</u> ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 2ა. <u>საბანკო რეკვიზიტები:</u> სს "ბანკი რესპუბლიკა" ა/ა № GE53BR0000010977968548 ბანკის კოდი: REPLGE22 საიდენტ. კოდი: 204470063	<u>იურიდიული მისამართი</u> ქ. თბილისი, ალ. აზბეგის გამზ. 12 <u>საბანკო რეკვიზიტები:</u> სახელმწიფო ხაზინა ბ/კ 220101222 ა/ა 200122900 საიდენტიფიკაციო კოდი: 204504875
დირექტორი --------- /ა. გელავა/	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი --------- /მ. დავითაშვილი/